საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
GEORGIAN NATIONAL UNIVERSITY SEU

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2026

2020
თბილისი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა ინსტიტუციის სამომავლო განვითარების მთავარ მიმართულებებს ასახავს. იგი განიხილება როგორც ცოცხალი დოკუმენტი, რომელიც მუდმივად გადაიხედება, საჭიროების შემთხვევაში განახლდება და აისახება მასში ახალი მოვლენები, იმისათვის რომ სეუ დარჩეს მოქნილ უნივერსიტეტად. დოკუმენტი წარმოადგენს იმის წინაპირობას, რომ სეუ ადეკვატურად რეაგირებს უმაღლესი განათლების სწრაფად ცვალებად როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო გარემოზე და, ასევე, გარანტიას იძლევა, რომ იგი კვლავ მიისწრაფოდეს საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო და ყველაზე ცნობილ კერძო უნივერსიტეტად დამკვიდრებისკენ.

სტრატეგიული განვითარების გეგმა მისიას ეფუძნება და ინსტიტუცია ყველა ქმედებით ისწრაფვის მასში დასახული მიზნების მიღწევისკენ.

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს მისიაა:

> შექმნას საერთაშორისოდ ცნობადი, სტუდენტსა და მის წარმატებაზე ორიენტირებული, თანამედროვე სტანდარტების მქონე აკადემიური გარემო, რომელიც სტიმულს აძლევს სწავლას, სწავლებასა და კვლევას, შესაბამისად, ყველას უქმნის საკუთარი პოტენციალის სრული რეალიზების შესაძლებლობას და ამზადებს მაღალი კვალიფიკაციის მქონე კონკურენტუნარიან სპეციალისტებს შრომის ბაზრისათვის.
>
> ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცის ღირებულებებსა და პრინციპებზე დაფუძნებული განათლების უზრუნველყოფა, ინოვაციური და მოქნილი მიდგომების გამოყენება სტუდენტებისა და საზოგადოების სხვადასხვა საჭიროებისა და მოთხოვნის საპასუხოდ, მომავალი ტენდენციების განჭვრეტა და ხარისხის გაუმჯობესებაზე ფოკუსირება, სეუ-ს მუდმივი მიზანია.

სეუ-ს დევიზია:

> გაუსწარი დროს!
> Bissenos tempus!

მისიის ძირითადი პრინციპებია:

- სტუდენტზე ორიენტირებულობა;
- მასტიმულირებელი გარემოს უზრუნველყოფა;
- შესაძლებლობათა შეთავაზება;
- ინოვაციურ გადაწყვეტილებათა შეთავაზება;
- საზოგადოებისა და სტუდენტების მომსახურება;
- მომავალზე ორიენტირებულობა;
- საკუთარი საქმიანობის ევროპულ ღირებულებებთან შესაბამისობა.

ეს ძირითადი პრინციპები ორიენტირებულია სტრატეგიულ მიზნებზე, რომელიც ამავე სტრატეგიულ გეგმაშია მოცემული. ევროპულ ფასეულობებთან თანხვედრა (აკადემიური თავისუფლება, ავტონომია, სტუდენტთა ჩართულობა) არის ფუნდამენტური და საკვანძო თემა, რომელიც თვითშემეცნების საფუძველიცაა და აისახება როგორც მართვისა და გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკაში, ასევე ზოგად საქმიანობაში.

სეუ-ს მისიის მიღწევაზე ფოკუსირება, რომელიც წარმოადგენს ამ სტრატეგიის საფუძველს, არის ათვლის წერტილი, რომელიც ხელს შეუწყობს ზრდასა და ჩანაფიქრების განხორციელებას, აგრეთვე შიდა და გარე დაინტერესებული მხარეებისა და ზოგადად საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას.

მოცემული სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავდა ხელმძღვანელობისა და ადმინისტრაციის ერთობლივი ძალისხმევით, რაც უზრუნველყოფს დეპარტამენტების უკუკავშირის სრულ ინტეგრაციას. შემდეგ მან გაიარა ფართო კონსულტაციების პროცესი, რომელშიც ჩართული იყო შიდა და გარე დაინტერესებული მხარეები.

ამრიგად, სტრატეგიული განვითარების და შესაბამისი სამოქმედო გეგმები შემუშავებულია წარსული და მიმდინარე საქმიანობის ობიექტური თვითკრიტიკული შეფასების საფუძველზე. იმისათვის, რომ ინსტიტუცია ყოფილიყო მეტად ინფორმირებული, განხორციელდა უფრო მასშტაბური კვლევა, როგორიცაა შრომის ბაზრის კომპლექსური კვლევა. ამის გარდა, ჩატარდა საფუძვლიანი SWOT ანალიზი. ჩვენი აღქმის ნაწილს წარმოადგენსნ ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება მტკიცებულებებზე დაყრდნობით, როგორც ფართო სტრატეგიული დაგეგმვის კონტექსტში, ისე ყოველდღიურ საქმიანობაში.

სტრატეგიული განვითარების გეგმის განუყოფელი ნაწილია SWOT ანალიზის შედეგები, რომელიც ქვემოთაა წარმოდგენილი, შემდეგი სახით:

		კომპეტენციების განვითარება (პერსონალი)	ორგანიზაციული განვითარება	თანამშრომლობის სისტემები	შესაძლებლობების ფარგლები
SWOT ანალიზი	ძლიერი მხარეები	• უნივერსიტეტში მუშაობის ხანგძლივი პრაქტიკის მქონე თანამშრომლები, დაწესებულების ცოდნა; • მოტივირებული ადმინისტრაციული პერსონალი	• თანმიმდევრული ზრდა; • გაზრდილი პოპულარობა ქართველ სტუდენტებს შორის; • მაღალი ხარისხის სტუდენტური სერვისები	• კარგი თანამშრომლობა სტუდენტებთან; • მზარდი საერთაშორისო თანამშრომლობა;	• ინფრასტრუქტურაში ინვისტიდიების მზარდი ოდენობა; • სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი პირობები; • ფინანსური მხარდაჭერა სტუდენტებისთვის; • საინტერესო და მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრება; • რეკრეაციული ზონების ხელმისწვდომობა; • თანამედროვე აღჭურვილობა
	სუსტი მხარეები	• დამოკიდებულობა მოწვეულ პერსონალზე; • სამეცნიერო კვლევის განხორციელების არასაკმარისი გამოცდილება; • სტრატეგიული დაგეგმვისა და მისი იმპოლემენტაციის მცირე გამოცდილება; • დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე ჩარიცხული აბიტურიენტები	• ორგანიზაციული შეფერხებები; • პროცესების მართვის არაფორმალიზირე ბული სისტემა; • რეპუტაცია არ შეესაბამება ინსტიტუციურ რეალობას; • დავალებათა კონცენტრაცია რამდენიმე ადამიანთან	• სუსტია შიდა კომუნიკაცია; • გადაწყვეტილების მიღების პროცესებში აკადემიური პერსონალის მცირე ჩართულობა; • საერთაშორისო სამეცნიერო საქმიანობის დაბალი ცნობიერება	• საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის ნაკლებობა; • ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ორიენტირებულია სწავლებაზე
	შესაძლებლობები	• მზაობა ცვლილებებისათვის; • მიმზიდველობის გაზრდა, საერთაშორისო გამოცდილების მქონე პერსონალისთვის; • აკადემიური პერსონალის შესაძლებლობა გაზარდოს პუბლიკაციები ავტორიტეტულ ჟურნალებში; • პროფესიული განვითარების პროგრამების შესაძლებლობა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის	• შეთავაზებების დივერსიფიკაცია • საერთაშორისო სტუდენტების ზრდა; • ხელახალი ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესები; • ფინანსური მართვის ახალი სისტემა; • პერსონალის მართვის გაუმჯობესებული სისტემა	• შრომის ბაზრის კარგი ცოდნა და დამსაქმებლებთან თანამშრომლობა; • ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება; • კურსდამთავრებუ ლთა დიდი მოცულობა; • ინოვაციური სწავლების, სწავლისა და შეფასების გამოყენებისდმი ღიაობა	• ახალი ბრენდის იმიჯი; • ფინანსური ლიკვიდობა და საკმარისი თანხები შემდგომი განვითარებისათვის; • ახალი კორპუსის მშენებლობა და ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება; • სტიმულირებისა და ბონუსის სისტემები

	საფრთხეები	• პერსონალის მიგრაცია; • პერსონალმა შესაძლოა არ მიიღოს ახალი ორგანიზაციული კულტურა	• სტუდენტთა გადინება; • ცვლილებისადმი წინააღმდეგობა; • ორგანიზაციული და სტრუქტურული ცვლილებების ნაკლებობა	• მაღალი კონკურენცია და სწრაფად ცვალებადი გარემო	• ცვლილებები ნორმატიულ-სამართლებრივ-აქტებში: EQE-ს სტანდარტები; სავიზო პოლიტიკა და ა.შ. • ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება
	დაგეგმილი ცვლილებები	• პერსონალის განვითარება; • კვლევითი საქმიანობა გაზრდა; • კვალიფიცირებული მეტი პერსონალის მოზიდვა და შენარჩუნება	• ორგანიზაციული სტრუქტურისა და კორპორატიული კულტურის განახლება; • გადაწყვეტილების მიღების პროცესების გაუმჯობესება; • მართვის პროცესების ეფექტურობის გაზრდა; • რეპუტაციის გაუმჯობესება; • ხარისხისა და კვლევითი კულტურის განვითარება	• სტუდენტებისთვის მეტი მრავალფეროვანი და ინოვაციური სერვისების შეთავაზება; • საკომუნიკაციო პროცესების ფორმალიზება	• ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება; • სამოტივაციო სისტემების სრულყოფა
	ზომები და გავლენის ჰიპოთეზები	• პერსონალის ტრენინგი და განვითარება => გაუმჯობესებული სწავლება და კვლევა => მეტი მიმზიდველობა ახალი პერსონალისთვის	• ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესებული სისტემა => გაუმჯობესებული ადმინისტრირება და მმართველობა => უკეთესი სერვისები და შეთავაზებები; • განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურა => ეფექტური პროცესები => უკეთესი დაგეგმვა და განხორციელება	• შრომის ბაზრის ცოდნა => სწავლების გაფართოებული შესაძლებლობები => გაზრდილი დასაქმება და რეპუტაცია	• შესრულების შეფასება => წახალისება და პროფესიული განვითარება => უფრო მაღალი მოტივაცია; • გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა => უკეთესი აღჭურვილობა და რესურსები => უფრო მიმზიდველი სასწავლო და კვლევითი გარემო
	ინტერაქციების სხვა დონეებთან	• კომუნიკაციის გაუმჯობესების, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს შორის მოვალეობების უკეთესი გამიჯვნის საჭიროება • კარგი პრაქტიკის გაზიარება დამოკიდებულია სამსახურებისა და დეპარტამენტების თანამშრომლობის გააქტიურებასა და კომუნიკაციის გაუმჯობესებაზე; • პერსონალის კმაყოფილება დამოკიდებულია ორგანიზაციული ცვლილების წარმატებაზე		• შრომის ბაზარის ცოდნისა და დამსაქმებლებთან თანამშრომლობის შემდგომი გაგრძელების საჭიროება	• მეტი და უკეთესი სტუდენტებისა და პერსონალის მოზიდვა მოითხოვს სეუ-ს გარედან აღქმის გაუმჯობესებას
	გარე მონაწილეების დამატებითი ზომები	• გარე ექსპერტები		• საერთაშორისო პარტნიორები და პროექტები	• სამინისტოსა და EQE-ს მიერ განათლების საერთო სტარტეგიის მხარდაჭერა

სტრატეგიული განვითარების გეგმა ასახავს სეუ-ს მთავარ სტრატეგიულ მიზნებსა და პრიორიტეტებს, და საქართველოს უმაღლესი განათლების უწყვეტი განვითარების პროცესში უზრუნველყოფს მისი წარმატებული საქმიანობასა და ლიდერობას

მისიის შესასრულებლად, სეუ **2020-2026 წწ-ში** ფოკუსირდება **სამ სტრატეგიულ პრიორიტეტზე**:

1. **ბრენდის იმიჯის გაუმჯობესება;**
2. **კვლევების გაფართოება;**
3. **ინოვაციური სასწავლო შეთავაზებების ზრდა და გაფართოება.**

ამ სამი სტრატეგიული პრიორიტეტის მისაღწევად, დამატებით განისაზღვრა სამი ჯვარედინი პრიორიტეტიც:

A. **მეტი და მაღალკვალიფიცირებული პერსონალის მოზიდვა და შენარჩუნება;**
B. **მართვის გაძლიერება;**
C. **მრავალფეროვანი სამუშაო და სასწავლო გარემოს შექმნა.**

მხოლოდ ადექვატური პერსონალის დასაქმებით მართვისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების საშუალებით არის შესაძლებელი ბრენდის მიმზიდველობის, კვლევის გაფართოებისა და შემდგომი სასწავლო შეთავაზებების რეალიზება.



სეუ აცნობიერებს, რომ სტრატეგიული პრიორიტეტები და ჯვარედინი პრიორიტეტები არიან ერთმანეთზე ურთიერთდამოკიდებულები და აძლიერებენ ერთმანეთს, ამიტომ, თითოეული მათგანი ერთიან პრიორიტეტად განიხილება. მაგალითად, უკეთესი ბრენდის იმიჯი ხელს შეუწყობს უკეთესი და მეტი პერსონალის მოზიდვას. ამავე დროს, უკეთესი და

მეტი პერსონალი ხელს შეუწყობს ბრენდის იმიჯის ზრდას. შესაბამისად, სეუ-ს სტრატეგია წარმოადგენს გაუმჯობესების უწყვეტ წრეს.

თითოეული სტრატეგიული პრიორიტეტის ფარგლებში, ისევე როგორც ჯვარედინ პრიორიტეტებში, ხელი შეეწყობა განვითარების სხვადასხვა ღონისძიებებს, რომლებიც უფრო ნათლად არის განსაზღვრული სამწლიან სამოქმედო გეგმაში. ეს ღონისძიებები შეესაბამება ძირითად სტრატეგიულ ინიციატივებს, რომლებიც ემყარება სტრატეგიულ პრიორიტეტებს.

სტრატეგიული პრიორიტეტი 1: ბრენდის იმიჯის გაუმჯობესება

სეუ დაარსების დღიდან როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად უწყვეტად იზრდება. თუმცა, ამ ზრდამ არ ჰპოვა დაბალანსებული და ადეკვატური აღქმა, განსაკუთრებით ქართველ სტუდენტებთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ ხარისხის გაუმჯობესება კვლავ რჩება მნიშვნელოვან ასპექტად, რომ პრიორიტეტულად მიგვაჩნია, რომ ბრენდის იმიჯი შეესაბამებოდეს იმ რეალობას და ძალისხმევას, რაც ბოლო წლების განმავლობაში უნივერსიტეტის ყველა ასპექტის გასაუმჯობესებლად განხორციელდა.

სეუ-მ შეძლო გამხდარიყო მაღალკვალიფიციური პერსონალის დასაქმების ადგილი, ასევე, წარმატებით განავითარა თანამედროვე გარემო, თანამედროვე სასწავლო საზოგადოებისათვის. სტუდენტების რაოდენობა უწყვეტად გაიზარდა და უნივერსიტეტი ქვეყანაში ყველაზე დიდი კერძო

უნივერსიტეტი გახდა. სტუდენტური სერვისები სრულად მოიცავს და შეესაბამება სტუდენტების მოთხოვნებს. საგნამანათლებლო პროგრამები განახლდა და გაუმჯობესდა, ხოლო კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი პოზიტიური განვითარების დონეს აჩვენებს. სასწავლო რესურსები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, ხოლო კვლევითი საქმიანობა გაფართოვდა. მიუხედავად ამისა, ამჟამად, ეს გარემოებები საკმარისად არ არის აღქმული დაინტერესებულ საზოგადოებაში. სეუ უნდა გახდეს ბრენდი, რომლის სახელიც ასოცირდება სტუდენტებისა და ინსტიტუციის წარმატებასთან. ეს ხელს შეუწყობს და სტიმულს მისცემს შემდგომ ინსტიტუციონალურ განვითარებას და საქართველოს უმაღლესი განათლების სივრცეში სეუ-ს პოზიციას გააძლიერებს. სეუ მიისწრაფის იმისკენ, რომ საქმიანობის დამსახურებით და სტრატეგიის განხორციელების შედეგად, ქვეყანაში ერთ-ერთ საუკეთესო და ყველაზე ცნობილ კერძო უნივერსიტეტად ჩამოყალიბდეს.

სრული პოტენციალის რეალიზებაში ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სეუ-მ შეძლოს თავისი წარმატების გზავნილის გადაცემა პოტენციური სტუდენტების, დამსაქმებლებისა და სრულიად საზოგადოებისათვის. ეს, პირველ რიგში, დააჩქარებს საქმიანობის გაუმჯობესებას ყველა სხვა სფეროში და კვლავ გაზრდის საზოგადოების აღქმას.

ამიტომ, კონკრეტულად განისაზღვრა შემდეგი სტრატეგიული ინიციატივები:

1. ნათელი და გასაგები იმიჯისა და ბრენდის ცნობადობის ჩამოყალიბება;
2. სეუ-ს მიღწევებისა და საქმიანობის შესახებ ეფექტური ინფორმირება;
3. მეტი და უკეთესი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის მოზიდვა;
4. კურსდამთავრებულთა ქსელის გაძლიერება.

წარმატება შეფასდება შემდეგნაირად:

- მუდმივად გაიზრდება სტუდენტთა მიღება, როგორც საქართველოდან, ასევე სხვა ქვეყნებიდან;
- სეუ გახდება სასურველი არჩევანი მაღალი მიღწევების მქონე სტუდენტებისათვის;
- გაუმჯობესდება დაინტერესებული მხარეების წარმოდგენები;
- სეუ გახდება სასურველი არჩევანი მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალისათვის.

სტრატეგიული პრიორიტეტი 2: სამეცნიერო კვლევების გაფართოება

სეუ წარმოადგენდა სწავლებაზე ორიენტირებულ უნივერსიტეტს, მაგრამ კვლევას ყოველთვის მიიჩნევდა როგორც უნივერსიტეტის შემადგენელ მნიშვნელოვან ელემენტს. ამჟამად, სეუ მზად არის გადადგას შემდეგი ნაბიჯები კვლევითი საქმიანობისა და კვლევითი პროფილის განსავითარებლად. შესაბამისად, აუცილებელია მიღწევების კონსოლიდირება და გაფართოება.

დასახული მიზნების მისაღწევად საჭიროა დაზუსტდეს და შეთანხმდეს კვლევის კონკრეტული პრიორიტეტები, რომლებიც გახდებიან კომპლექსური კვლევითი სტრატეგიის ნაწილი, რაც სრულად იქნება მხარდაჭერილი სეუ-ს ფარგლებში და დაინტერესებული მხარეების მიერ. უნივერსიტეტის მხრიდან შესაბამისი ბიუჯეტითაც მხარდაჭერილი სამეცნიერო კვლევები აგრეთვე გამოიყენებიული იქნება როგორც სწავლა/სწავლების განუყოფელ ნაწილი.

2019-2026 წწ,-ში სეუ შეაფასებს მზაობას, და შემდგომ განახორციელებს პრიორიტეტულ სფეროებში სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციის პროცესს. ამავდროულად, ის ისწრაფვის შეიმუშაოს კვლევისა და სწავლების განუყოფლობის ერთიანი პოლიტიკა. ეს თავისთავად გამოიწვევს კვლევით საქმიანობაში სტუდენტების მზარდ ჩართულობას.

სეუ გეგმავს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობების წახალისებისა და სტიმულირების სისტემის განვითარებას, რათა გაიზარდოს კვლევათა რაოდენობა და ხარისხი. ამავდროულად, ახალი კადრების შერჩევისას მეტი ყურადღება გამახვილდება მათ სამეცნიერო მიღწევებზე და პოტენციალზე.

სეუ შეეცდება ასაზრდოოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ადეკვატური კვლევითი ინფრასტრუქტურის დახმარებით, რომელიც ითვალისწინებს როგორც ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების მოთხოვნებს, ასევე საკონსულტაციო მომსახურებას, რომელიც შეიძლება შეეთავაზოს დაინტერესებულ მხარეებს.

სრული პოტენციალის რეალიზების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია, რათა სეუ-მ შეძლოს კვლევის პროდუქტიულობის გაზრდა, აგრეთვე დაიწყება მუშაობა უნივერსიტეტში ძლიერი კვლევითი კულტურის დანერგვისათვის, რათა სეუ სამეცნიერო საზოგადოებას, ეკონომიკასა და ზოგადად საზოგადოებას ემსახუროს.

ამიტომ, კონკრეტულად განისაზღვრა შემდეგი სტრატეგიული ინიციატივები:

1. კვლევითი საქმიანობის ადეკვატური ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
2. კვლევის პროდუქტიულობის ამაღლება;
3. აკადემიური პორტფოლიოს გაფართოება სადოქტორო პროგრამებამდე;
4. ეფექტური კვლევითი კლიმატის შექმნა.

წარმატება შეფასდება შემდეგნაირად:

- საერთო და შედარებითი ხარჯები კვლევებზე;
- სადოქტორო პროგრამების რაოდენობა;
- კვლევითი ინფრასტრუქტურის ადეკვატურობა;
- კვლევითი პუბლიკაციების რაოდენობა, ჟურნალების ტიპი და კონფერენციებში ქმედითი მონაწილეობა.

სტრატეგიული პრიორიტეტი 3: ინოვაციური სასწავლო შეთავაზებების ზრდა და გაფართოება.

სეუ ყოველთვის იყო მოქნილი საგანმანათლებლო პროგრამების მიწოდების თვალსაზრისით, მისი მრავალფეროვანი სტუდენტური კონტიგენტის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. აღნიშნული, ასევე, მოიცავს დასაქმებული სტუდენტების მაქსიმალურად ხელშეწყობას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. აგრეთვე, აკადემიური პორტფელი მიმდინარე წლების განმავლობაში გაფართოვდა, შრომის ბაზარზე მოსალოდნელი ტენდენციებისა და სტუდენტთა ინტერესების შესაბამისად.

სეუ შეეცდება გააგრძელოს არსებული პრაქტიკა და კიდევ უფრო მოქნილი გახდეს მისი მხრიდან შეთავაზებული საგნამანათლებლო პროგრამების მიწოდებისა და შეფასების მეთოდებში. ასევე, მიზნად ისახავს გააფართოვოს აკადემიური შეთავაზებები, რათა მეტი ფართო არჩევანის შესაძლებლობა შეიქმნას როგორც არსებული პროგრამებისათვის, ისე ახალი პროგრამების შექმნის მიზნით.

სეუ უზრუნველყოფს, რომ ინფრასტრუქტურის, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მიდგომების თვალსაზრისით საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამებოდეს საერთშორისო მოთხოვნებს. აგრეთვე გაგრძელდება საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმებში თანამედროვე და ინოვაციური მიდგომების ჩართვა და პერსონალს ექნებათ შესაძლებლობა, რათა განახორციელონ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება.

სეუ თანმიმდევრულად გააფართოებს საერთაშორისო პროგრამებს და პარალელურად, მოქმედ პროგრამებში საერთაშორისო ასპექტებს გააძლიერებს. ამგვარად, იგი ეცდება ქართველ სტუდენტებს უფრო მეტი საერთაშორისო სწავლების გამოცდილება მიაწოდოს. სეუ ასევე შეისწავლის საქართველოს ფარგლებს გარეთ განათლების მიწოდების შესაძლებლობებს.

სეუ ითანამშრომლებს დაინტერესებულ მხარეებსა და საზოგადოებასთან იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას უწყვეტი განვითარების შესაძლებლობები, უშუალოდ მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობების განვითარების გზით, რომელიც მიწოდებულია სათანადო საშუალებებით.

სრული პოტენციალის რეალიზების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სეუ შეძლებს სწრაფად დანერგოს ტექნოლოგიების წინსვლის შედეგად შექმნილი ახალი ტენდენციები, ახალი პედაგოგიური და მეთოდოლოგიური მიდგომები და მრავალფეროვანი სწავლის შესაძლებლობები, რომელიც შემუშავებულია შრომის ბაზრის მოსალოდნელი მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული მიზნად ისახავს ამჟამინდელი და მომავალი სტუდენტებისათვის, ეკონომიკისა და მთლიანი საზოგადოებისათვის საუკეთესო შესაძლებლობების მიწოდებას.

ამიტომ, სეუ კონკრეტულად მიმართავს შემდეგ სტრატეგიულ ინიციატივებს:

1. აკადემიური პორტფოლიოს გაფართოება;
2. ინოვაციური კურიკულუმები და მათი განხორციელება
3. საგანმანათლებლო შეთავაზებების გაფართოება.

წარმატება შეფასდება შემდეგნაირად:

- საგნამანათლებლო პროგრამების რაოდენობა;
- დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა და სტუდენტების კმაყოფილება;
- ქართველი და საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა;
- სტუდენტების რაოდენობა არატრადიციულ პროგრამებზე.

ჯვარედინი პრიორიტეტი A. მეტი და მაღალკვალიფიცირებული პერსონალის მოზიდვა და შენარჩუნება

სეუ-ს ხარისხი იზრდება ან მცირდება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ხარისხთან ერთად. წარსულში წარმატებულად განხორციელდა პერსონალის მოზიდვა, მაგრამ მაღალ

კონკურენტუნარიანი გარემოს გათვალისწინებით, სეუ-ს გააჩნია ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რომ გახდეს უფრო მეტად მიმზიდველი დასაქმების ადგილი, თუ ის განახორციელებს გარკვეულ სტრატეგიულ ქმედებებს.

შემუშავდება სისტემა, რათა უკეთესად დაფასდეს პერსონალის მაღალი ხარისხით შესრულებული სამუშაო. ეს დაეფუძნება პერსონალის მუშაობის ეფექტურობის სისტემატური შეფასების სისტემას. ამავდროულად, შესაძლებელი გახდება პროფესიული განვითარების ფართო შესაძლებლობების შეთავაზება ინდივიდუალურ და კოლექტიურ დონეზე, მუდმივი გაუმჯობესებისა და უკუკავშირის უფრო ფორმალიზებული სისტემის უზრუნველსაყოფად.

სეუ მოიზიდავს მეტ პერსონალს, რომელიც ფლობს საჭირო უნარ-ჩვევებს და კომპეტენციებს და შეესაბამება მის აკადემიურ და სამეცნიერო ამბიციებს. სეუ იმუშავებს ტალანტების მენეჯმენტის გაუმჯობესებაზე, რათა გამოიყენოს პოტენციალი რომელიც უკვე არსებობს უნივერსიტეტში. ის, ასევე, დაასაქმებს გარე კანდიდატებს მკაცრი შერჩევის პროცესის საფუძველზე.

სრული პოტენციალის რეალიზების პროცესში გადამწყვეტი იქნება, ის რომ სეუ წარმოადგენდეს სასურველ არჩევანს როგორც ახალ, ასევე არსებული პერსონალისთვიაც, რაც უზრუნველყოფს ამ უკანასკელტა შენარჩუნებას. ამიტომ, აუცილებელია ჩამოყალიბდეს მექანიზმები, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და შემდგომი განვითარების მზადყოფნის უზრუნველსაყოფად, რომელიც დაეყრდნობა სისტემურ და გამჭირვალე მიდგომას, რაც ხელს შეუწყობს ხარისხის გაუმჯობესებას და სრულყოფას.

ამიტომ, კონკრეტულად განისაზღვრა შემდეგი სტრატეგიული ინიციატივები:

1. პერსონალის მუშაობის ეფექტურობის შეფასების ძლიერი და მქონილი სისტემის განვითარება;
2. პროფესიული განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა;
3. სტიმულირებისა და მოტივაციის სისტემის შემუშავება;
4. სტრატეგიულ ხედვებზე დაფუძნებული და გაუმჯობესებული რეკრუტირების სისტემის შემუშავება.

წარმატებას შეფასდება შემდეგნაირად:

- დასაქმებული პერსონალის რაოდენობა, პერსონალის/სტუდენტების პროპორცია;
- პერსონალისა და სტუდენტების კმაყოფილება;
- პროფესიული განვითარების შესაძლებლობები და მათი გავლენა;

- პერსონალის მუშაობის შეფასების შედეგები.

ჯვარედინი პრიორიტეტი B. მართვის გაძლიერება

სეუ-ს გრძელვადიანი წარმატება დამოკიდებულია როგორც პერსონალის უნარებზე, ასევე თუ როგორ დააკმაყოფილებს იგი თანამშრომლების, სტუდენტების, დამსაქმებლების, შრომის ბაზარსა თუ ზოგადად საზოგადოების მოლოდინებს. ყოველივე ეს მოითხოვს მიზანმიმართულ, უნივერსალურ, მაღალკვალიფიციურ და მომსახურებაზე ორიენტირებულ ინსტიტუციონალურ მართვას. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ ვეცდებით გავაუმჯობესოთ პროფესიონალიზმი და მართვისა არსებულ მიდგომების გაძლიერებას.

ეს მოითხოვს სეუ-ს ყველა საქმინობის გონივრული პოლიტიკის საფუძველზე ფორმირებას, რომელსაც თან ახლავს შესაბამისი სტრუქტურა და შედეგებზე ორიენტირებული პროცესები და პროცედურები. სეუ შეეცდება მუდმივად გადახედოს და განაახლოს მართვის მეთოდი და უზრუნველყოს, რომ ყველა ინფორმირებულია ამის შესახებ.

სერვისებისა და ოპერაციების ხარისხი მთავარი ამოცანაა. ამრიგად, სეუ მიზნად ისახავს ხარისხის უზრუნველყოფისა და ხარისხის გაუმჯობესების სისტემის განახლებასა და გაფართოებას, რათა სრულად იქნას დაფარული პერსონალის ყოველდღიური და სტრატეგიული საქმიანობის ყველა ასპექტი. გარდა ამისა, ის მიზნად ისახავს უნივერსიტეტის მასშტაბით დაინერგოს ხარისხის კულტურა, რომლის მიზანიცაა, რომ თითოეულ ადამიანს, ვინც შეადგენს სეუ-ს ნაწილს, ჰქონდეს არა მხოლოდ შესაბამისობის, არამედ გაუმჯობესების მიზანი.

სეუ გააქტიურებს სტრატეგიული დაგეგმვის და გეგმების შემდგომ განხორციელებას, შესაბამის და სრულყოფილ მონიტორინგთან ერთად. ამისათვის, უნდა განვითარდეს მიზნების მიღწევის სტრატეგიული და ყოვლისმომცველი გზა. ეს ასევე გულისხმობს დაინტერესებულ მხარეებთან, კერძოდ სტუდენტებთან, თანამშრომლებთან და დამსაქმებლებთან მიმდინარე დიალოგს, რათა მოხდეს მათი შეხედულებების გეგმებში გათვალისწინება და უზრუნველყოფილ იქნას არსებული მოლოდინების მკაფიო გაგება.

განვითარების ყველა ამბიცია მოითხოვს მკაფიო ფინანსურ სტრატეგიას. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კარგი ფინანსური მდგომარეობა, უზრუნველყოფილ უნდა იქნას რომ ეს გაგრძელდება და სტაბილური ზრდა სტაბილურად დაფინანსდება. აქედან გამომდინარე, გადაიხედება თუ როგორ

იმართება ფინანსური რესურსები ამჟამად და განხორციელდება შემოსავლების ნაკადის დივერსიფიკაციისა და გაფართოების პროცესი.

სრული პოტენციალის რეალიზების პროცესში, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, რომ სეუ მყარად და თანმიმდევრულად იმუშავებს მართვის პროცესის გასაუმჯობესებლად შესაბამისი სტრუქტურების, ადამიანებისა და სისტემების მეშვეობით, რომლებიც აერთიანებენ ოპერაციებს იმ გრძელვადიანი ხედვასა და მისიასთან დაკავშირებით, რაც სეუ-მ დასახა.

ამიტომ, კონკრეტულად განისაზღვრა შემდეგი სტრატეგიული ინიციატივები:

1. ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის სისტემატიზაცია;
2. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესება და ხარისხის კულტურის დანერგვა;
3. დაინტერესებული მხარეთათვის საუკეთესო სერვისების მიწოდება;
4. შემოსავლების ნაკადების მდგრადი დივერსიფიკაცია.

წარმატება შეფასდება შემდეგნაირად:

- თანამშრომლებისა და სტუდენტების კმაყოფილება;
- ხარისხის უზრუნველყოფის გარე მოთხოვნების მიღწევა;
- მართვის ეფექტიანობისა და დეპარტამენტების წარმადობის დონე;
- სტრატეგიული გეგმის განხორციელების უნარი.

ჯვარედინი პრიორიტეტი C.
მრავალფეროვანი სამუშაო და სასწავლო გარემოს შექმნა

წლების განმავლობაში, სეუ-მ მნიშვნელოვანი ინვესტიცია გაიღო ობიექტებისა და ინფრასტრუქტურის მოწყობაში. აუცილებელია გაგრძელდეს ამის კეთება იმისათვის, რომ შეიქმნას გარემო, რომელიც საშუალებას მისცემს პერსონალს იყოს კრეატიული და, ასევე აკმაყოფილებდეს აკადემიურ და სამეცნიერო საჭიროებებს.

სეუ უზრუნველყოფს, რომ რომ ყველა ფაკულტეტს ჰქონდეს ინფრასტრუქტურა, რომელიც აუცილებელია მათი მდგრადი განვითარებისათვის. ეს ასევე მოიცავს საუნივერსიტეტო კლინიკის შექმნასაც. ყურადღება გამახვილდება არსებული ლაბორატორიული აპარატურის მოდერნიზაციაზე, რათა იგი გახდეს ქართული უმაღლესი განათლების სავიზიტო ბარათი.

სეუ მოახდენს სასწავლო აუდიტორიებისა და სამუშაო ოთახების აღჭურვას თანამედროვე ინფრასტრუქტურით, სწავლის, სწავლებისა და მუშაობის გასაადვილებლად. ამავე დროს, ის ეცდება შექმნას ატმოსფერო, რომელიც მასტიმულირებელია და კეთილდღეობის განცდას ქმნის. იგი ასევე მოიცავს მაღალი ხარისხის ინფრასტრუქტურას ექსტრაკულიკულუურ საქმიანობისათვის.

სეუ გააფართოებს ინფრასტრუქტურასა და აღჭურვილობას კვლევის სტრატეგიული მიზნების შესაბამისად, კვლევისა და პროდუქტიულობის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად. ახალი კამპუსის მეშვეობით და ინფრასტრუქტურის შემდგომი მუდმივი განვითარებით შესაძლებელი იქნება შეიქმნას სასწავლო, კვლევითი და სამუშაო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენს საქმიანობას. გაფართოვდება სასწავლო და კვლევითი ლაბორატორიები. ინფრასტრუქტურა დააკმაყოფილებს პერსონალის ამბიციებს სტუდენტზე ორიენტირებული განათლების უზრუნველყოფად.

სეუ აცნობიერებს, რომ მის მიერ შექმნილი გარემო აისახება სტუდენტებისა და პერსონალის განწყობასა და დამოკიდებულებაზე. ამის გარდა, დამოკიდებულება, რომელსაც აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი ავლენს სტუდენტთა მიმართ, აისახება მათ აკადემიურ მოსწრებაზე. ეს ყოველივე კი მათ მიერ სამუშაოს შესრულებაზეც მოქმედებს. აქედან გამომდინარე, სეუ ისწრაფვის შექმნას გარემო, რომელიც ხელს უწყობს ახალ იდეებს და წარმოქმნის ცოდნას.

ამიტომ, კონკრეტულად განისაზღვრა შემდეგი სტრატეგიული ინიციატივები:

1. სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესების სათანადო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა
2. განვითარების სტრატეგის შესაბამისად უნივერსიტეტის თანამედროვე აღჭურვილობით უზრუნველყოფა;
3. ერთიანობის განცდის შექმნა, რომელიც ასტიმულირებს და ასაზრდოებს სწავლებასა და ხარისხს.

წარმატება შეფასდება შემდეგნაირად:

- სტუდენტისა და პერსონალის კმაყოფილება;
- ინვესტიციების დონე ინფრასტრუქტურაში;
- სასწავლო და კვლევითი საშუალებების ადეკვატურობა.